რადიოლოგიის ტესტები:

რენტგენული გამოსხივების სპექტრი მდებარეობს:
ა)რადიოტალღებსა და მაგნიტურ ველს შორის
ბ)ინფრაწითელ და ულტრაიისფერ გამოსხივებას შორის
გ)ულტრაიისფერ და გამა გამოსხივებას შორის;*
დ)რადიოტალღებსა და ინფრაწითელ გამოსხივებას შორის

რომელი კვლევა არ მიეკუთვნება რენტგენოდიაგნოსტიკას?
ა)ანგიოგრაფია;
ბ)ტრადიციული ტომოგრაფია;
გ)ფლუოროგრაფია;
დ)რადიოგრაფია;*

ულტრაბგერა არის:
ა)განივი მექანიკური ტალღა;
ბ)ელექტრომაგნიტური ტალღა;
გ)გრძივი მექანკური ტალღა; *
დ)ფოტონი;

ღვიძლის საერთო სადინარი წარმოიქმნება:
ა)ღვიძლის მარცხენა და მარჯვენა სადინარების შეერთებით;*
ბ)წილაკთაშუა სადინარების შეერთებით;
გ)ღვიძლის მარცხენა, მარჯვენა და ნაღვლის ბუშტის სადინარების შეერთებით;
დ)ნაღვლის ბუშტის და ნაღვლის მიმღები სადინარის შეერთებით.

ნაღვლის ბუშტში კონკრემენტის არსებობაზე ეჭვის მიტანისას პირველი რიგის კვლევაა?

ა) რენტგენოლოგიური კვლევა
ბ) ულტრაბგერითი კვლევა; *
გ) კომპიუტერული ტომოგრაფია;
დ) მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია;

კუჭის უმეტესი ნაწილი მდებარეობს?

ა) მარჯვენა ფერდქვეშა არეში;
ბ) ჰიპოგასტრიუმში;
გ) შუასაყარში;
დ) მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში;*

ნორმაში მარჯვენა თირკმლის ზედა პოლუსი მარცხენასთან შედარებით განლაგებულია:
ა)1-2 სმ-ით ქვემოთ *
ბ)3-4 სმ-ით ქვემოთ
გ)5-6 სმ-ით ქვემოთ
დ)10 სმ-ით ქვემოთ

ნორმაში გულის ჩრდილი მდებარეობს შუამდებარე ხაზიდან:

ა) 1/3 მარჯვნივ, 2/3 მარცხნივ;*
ბ) 1/3 მარცხნივ 2/3 მარჯვნივ;
გ) 1/2 მარჯვნივ 1/2 მარცხნივ;
დ)1/4 მარჯვნივ 3/4 მარცხნივ;

რომელი რადიოლოგიური კვლევა არ გამოიყენება ზრდასრული ადამიანის თავის ტვინის დიაგნოსტიკისთვის?

ა) მრტ
ბ) კომპიუტერული ტომოგრაფია
გ) ექოენცეფალოსკოპია
დ) თერმოგრაფია. *

რომელი რადიოლოგიური კვლევის მეთოდი არ გამოიყენება ზურგის ტვინის შესასწავლად?

ა) კტ;
ბ) მრტ;
გ) ულტრაბგერითი კვლევა;*
დ) რადიონუკლიდური კვლევა;